დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილის
ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“
ყრილობის ოქმით

ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“
(ს/ნ 402003309)

წესდება
(ახალი რედაქცია, კონსოლიდირებული)

ქ. თბილისი
2025 წ.

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია" (შემდგომში - „ფედერაცია") დაფუძნებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საკუთარი წესდების და ცოცვისა და მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციის (UIAA) პრინციპების შესაბამისად.

1.2. ფედერაცია არის საქართველოში მთამსვლელობის და მასთან დაკავშირებული სახეობების აღორძინების და განვითარების მოძრაობის გამაერთიანებელი პოლიტიკის გამტარებელი ხელმძღვანელი ორგანიზაცია. ფედერაციის წინამდებარე წესდება და მის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის ყველა წევრისათვის.

1.3. ფედერაციის სრული სახელწოდებაა **ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია**", ინგლისულად **UFGM „United Federation of Georgian Mountaineers".** ფედერაცია რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს/შესაძლოა ჰქონდეს დამოუკიდებელი ბალანსი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოს და საზღვარგარეთის საბანკო დაწესებულებებში.

1.4. ფედერაცია უფლებამოსილია თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი, პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში.

1.5. ფედერაციას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, ემბლემით და ყველა საჭირო რეკვიზიტი.

მუხლი 2
ფედერაციის მიზნები და ამოცანები

<u>ფედერაციის მიზნები და ამოცანებია:</u>

2.1. საქართველოში პრიორიტეტულად მთამსვლელობის, ასევე, მასთან დაკავშირეული სახეობების (ყინულზე ცოცვა, დრაითულინგი, სათხილამურო მთამსვლელობა) აღორძინება-განვითარების ხელშეწყობა;

2.2. მთამსვლელობის და მასთან დაკავშირეული სახეობების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარება;

2.3. უმაღლესი დაოსტატების მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კლუბების ჩამოყალიბების და შემდგომ ფედერაციაში მათი გაერთიანების ხელშეწყობა, მოქმედი გუნდების აქტივობების მხარდაჭერა, ხელშეწყობა, განვითარება;

2.4. მოქმედ მთამსვლელთა გუნდების და ცალკე წარმატებულ სპორტსმენთა ბაზაზე საქართველოს ნაკრები გუნდების (ვაჟთა და ქალთა) ჩამოყალიბება, მომზადება და ხელშეწყობა;

2.5. შესაბამისი მწვრთნელების და ინსტრუქტორების შერჩევა, მომზადება-გადამზადება, მათი მომზადების, კვალიფიკაციის-რეიტინგის განსაზღვრის წესის შემუშავება;

2.6. ადგილობრივი სპორტული ღონისძიებებისა და ჩემპიონატების გამართვა, საერთაშორისო ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

2.7. ცოცვისა და მთასვლელობის საერთაშორისო ფედერაციის, ასევე, დაკავშირებული სახეობების საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრობა, თანამშრომლობა საზღვარგარეთის ფედერაციებთან;

2.8. მუდმივი თანამშრომლობა სამინისტროებთან, მერიებთან, მუნიციპალიტეტებთან სპორტის ამ სახეობისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის განვითარების ხელშესაწყობად მოსახლეობაში კონსულტაციებით, სემინარებით, ტრენინგებით, თანამედროვე საწვრთნელი პროგრამების განხორციელებით.

მუხლი 3
ფედერაციის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

3.1. ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც აღიარებს ფედერაციის წესდებას, პრინციპებსა და ღირებულებებს. ამასთან, ფედერაციის ყრილობაზე მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ ფედერაციის წევრ იურიდიულ პირებს (წესდების 3.3 პუნქტის გათვალისწინებით).

3.2. ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს მთამსვლელობასთან ან მასთან დაკავშირებულ სახეობასთან თავისი ძირითადი საქმიანობით დაკავშირებული შემდეგი სუბიექტი:

3.2.1. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (მათ შორის მთასვლელობასთან ან მასთან დაკავშირებული სახეობის სპორტული კლუბი ან/და რეგიონული ფედერაცია), რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩართულია მთამსვლელობასთან და მასთან დაკავშირებულ სახეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, აღიარებს ფედერაციის მიზნებს და საკუთარი წევრების შემადგენლობაში ჰყავს ალპინიზმში აქტიურად ჩართული სულ ცოტა 3 პირი მაინც, რომელთაც ბოლო 5 წლის განმავლობაში გავლილი აქვთ კლასიფიცირებული მეხუთე კატეგორიის სირთულის 3 სხვადასხვა მარშრუტი თითოეულს და რომლებიც ამავდროულად უკვე არ არიან ფედერაციის სხვა იურიდიული პირი წევრის წევრთა შემადგენლობაში. ფედერაციაში გაწევრიანება გავლენას არ ახდენს წევრი ორგანიზაციის შიგნით გაერთიანებული პირების სტატუსზე. (აღნიშნული მოთხოვნები არ ეხება ფედერაციის არსებულ წევრ იურიდიულ პირებს).

3.2.2. საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი (ყრილობაზე მონაწილეობისა და ხმის უფლების გარეშე), რომელსაც გავლილი აქვს სულ მცირე ერთი კლასიფიცირებული მარშრუტი და ამავდროულად აქტიურად ჩართულია ალპინიზმში ან/და მთამსვლელობასთან დაკავშირებულ სახეობაში.

3.3. ფედერაციის არსებული ფიზიკური პირი წევრები ყრილობაში მონაწილეობისა და ხმის უფლებას ინარჩუნებენ 2027 წლის 01 ივლისამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ისინი კარგავენ ხმის უფლების მქონე წევრის სტატუსს.

3.4. ფედერაციის მიერ დაფუძნებული ფილიალი, რეგიონული ფედერაცია ან სხვა ორგანიზაციული დანაყოფი ფედერაციის წევრი არ არის.

3.5. ფედერაციის წევრებად იურიდიული პირების მიღებას ახდენს ყრილობა ფედერაციის გამგეობის რეკომენდაციით, ხოლო ფიზიკური პირებისას - ფედერაციის გამგეობა დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე. ფედერაციაში გაწევრიანების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს გამგეობას, რომელიც მომდევნო სხდომაზე, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა განცხადების შეტანიდან, განიხილავს

გაწევრიანების შესახებ განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას. წევრობა არ გადაეცემა სხვა პირს და არც მემკვიდრეობით გადადის.

3.6. ამ წესდების 3.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გამგეობის მიერ პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად. უარი გაწევრიანებაზე საჩივრდება სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3.7. დაუშვებელია ფედერაციაში ახალი იურიდიული პირი წევრების მიღება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვამდე 6 თვის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოცემული 6 თვის განმავლობაში ფედერაციაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს ახალი წევრი იურიდიული პირი იმ დათქმით, რომ ახალ წევრს ხმის მიცემის უფლება არ ექნება ფედერაციის პრეზიდენტის და გამგეობის წევრთა მომდევნო არჩევნებზე.

3.8. ფედერაციის წევრს წევრობა შეუწყდება:

3.8.1. წევრის წერილობითი განცხადების საფუძველზე (ფედერაციის წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს წევრობიდან ყრილობის ან/და ფედერაციის გამგეობისთვის წერილობითი მიმართვის შემდეგ);

3.8.2. წევრი ფიზიკური პირის გარდაცვალების და წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან ფაქტობრივად უმოქმედობის შემთხვევაში. (იურიდიული პირი წევრი ჩაითლება უმოქმედოდ თუ კი მას ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰყავს განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რის გამოც წევრს შეზღუდული აქვს ყრილობაში მონაწილების უფლება);

3.8.3. თუ წევრი ვეღარ აკმაყოფილებს წესდებით დადგენილ წევრად მიღების მოთხოვნებს;

3.8.4. ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც შეუსაბამოა წევრის ფედერაციაში წევრობასთან;

3.8.5. წევრის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ეწინააღმდეგება ფედერაციის მიზნებს;

3.8.6. წესდებითა და ფედერაციის მიერ მიღებული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების უხეშად ან/და განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის ფედერაციის საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში (არსებობისას);

3.8.7. ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ლახავს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის ფედერაციის რეპუტაციასა და ავტორიტეტს, ზიანს აყენებს ან ქმნის ფედერაციის ქონებისადმი ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს;

3.8.8. სხვა ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელთა შეფასების შემდეგ წევრთა ყრილობა (იურიდიული პირის შემთხვევაში), ან გამგეობა (ფიზიკური პირის შემთხვევაში), მიზანშეწონილად მიიჩნევს წევრობის შეწყვეტას.

3.9. იურიდიული პირი წევრის წევრობის შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა, ხოლო ფიზიკური პირი წევრის წევრობის შეწყვეტაზე - გამგეობა. გადაწყვეტილება ფედერაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ მიიღება ყრილობის/გამგეობის დამსწრეთა ხმათა 2/3- ით.

3.10. ფედერაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება წევრობა შეწყვეტილ პირს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

3.11. ფედერაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და წევრი კარგავს ფედერაციის წევრობის სტატუსს.

3.12. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

3.12.1. მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის ყრილობის მუშაობაში (მხოლოდ ხმის უფლების მქონე პირებს);

3.12.2. მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;

3.12.3. კვალიფიკაციის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის პროგრამებსა და პროექტებში;

3.12.4. გაეცნოს ფედერაციის გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

3.12.5. ისარგებლოს ფედერაციის წევრის სტატუსით;

3.12.6. თავისი სურვილით გავიდეს ფედერაციიდან.

3.13. ფედერაციის წევრი ვალდებულია:

3.13.1. დაიცვას ფედერაციის წესდებისა და ფედერაციის მიერ მიღებული წესების/აქტების მოთხოვნები;

3.13.2. მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებაში;

3.13.3. დაიცვას და გაუფრთხილდეს ფედერაციის რეპუტაციასა და ქონებას;

3.13.4. მისამართის, საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინოს ფედერაციას ცვლილების წარმოშობიდან არა უგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში;

3.13.5. გამგეობის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით გადაიხადოს საწევრო შენატანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.14. ფედერაციის წევრები, რომლებიც იღებენ დაფინანსებას ფედერაციიდან, ვალდებულნი არიან დაიცვან ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნები და ვადები, ფედერაციას დროულად ჩააბარონ ფინანსური ანგარიშები (შესაბამისი დოკუმენტაციით, კანონმდებლობების მოთხოვნათა მიხედვით) და წარუდგინონ სპორტული ანგარიშები (ფოტო-ვიდეო მასალით).

მუხლი 4
ფედერაციის ორგანოები

4.1. ფედერაციის ორგანოებია:

ა) ფედერაციის ყრილობა;

ბ) ფედერაციის გამგეობა;

გ) ფედერაციის პრეზიდენტი;

დ) ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი;

ე) ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი (იგივე გენერალური მდივანი);

ზ) ფედერაციის ფინანსური დირექტორი (იგივე ხაზინადარი);

თ) ფედერაციის სარევიზიო კომისია;

ი) ფედერაციის დარგობრივი კომისიები.

მუხლი 5
ფედერაციის ყრილობა

5.1. ფედერაციის მართვის უმაღლესი ორგანოა ყრილობა (შემდგომში - „ყრილობა“), რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ. ფედერაციის რიგითი ყრილობა მოიწვევა წელიწადში ერთხელ, ხოლო საარჩევნო რიგითი ყრილობა მოიწვევა არაუგვიანეს 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის ვადის გათვალისწინებით.

5.2. ყრილობის, მათ შორის, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის უფლება აქვთ:

ა) ფედერაციის პრეზიდენტს/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს;

ბ) ფედერაციის გამგეობას;

გ) ფედერაციის იურიდიულ პირ წევრთა არანაკლებ 25%-ს (მხოლოდ რიგგარეშე ყრილობის შემთხვევაში).

5.3. ყრილობა შედგება დელეგატებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის ხმის უფლების მქონე წევრებს, ამ მუხლით დადგენილი დათქმების გათვალისწინებით. ყველა დელეგატი თანასწორია.

5.4. ფიზიკურ პირ წევრთა რაოდენობის მიუხედავად, ყრილობის დელეგატთა არანაკლებ ¾-ს ფედერაციის წევრი იურიდიული პირები უნდა წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ყრილობა გადაწყვეტილებაუნარია ფედერაციის წევრი იურიდიული პირების ¾ (სამი მეოთხედის) დელეგატების ყრილობაზე წარმოდგენის შემთხვევაში. ამასთან, ფიზიკური პირების ყრილობის დელეგატებად არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოთ საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებს ფედერაციის გამგეობის მიერ, ხოლო კონკურენციის შემთხვევაში გათვალისწინებულუნდა იქნას სპორტული შედეგები. (წესდების აღნიშნული პუნქტი მოქმედებს 2027 წლის 01 ივლისამდე პერიოდში).

5.5. ყრილობა გადაწყვეტილებაუნარია თუ მას ესწრება ფედერაციის წევრი იურიდიული პირების 2/3 (ორი მესამედი) მაინც. (წესდების აღნიშნული პუნქტი ამოქმედდება 2027 წლის 01 ივლისიდან წესდების მოქმედების ვადით).

5.6. ყრილობა გაიმართება პრეზიდენტის (მოვალეობის შემსრულებლის) მიერ განსაზღვრულ ადგილზე და დროს.

5.7. ყრილობის მოწვევის შესახებ ფედერაციის იურიდიულ პირ წევრებს უნდა ეცნობოთ წინასწარ წერილობით ყრილობის ჩატარებამდე ათი დღით ადრე მაინც. მოსაწვევში აღინიშნება ყრილობის ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი.

5.8. ყრილობაზე იურიდიული პირი წევრის სახელით მონაწილეობას იღებს მის მიერვე განსაზღვრული წარმომადგენელი (დელეგატი), რომელმაც უნდა წარმოადგინოს ყრილობაში მონაწილეობის შესახებ სათანადო უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.9. ყრილობაზე ფედერაციის წევრის მიერ სხვა წევრისთვის ხმის უფლების დელეგირება დაუშვებელია.

5.10. ყრილობაზე კენჭისყრისას ფედერაციის ხმის უფლების მქონე ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. დაუშვებელია, რომელიმე დელეგატის ხმისათვის უფრო მეტი წონის ან სხვა პრივილეგიის მინიჭება სხვა დელეგატებთან მიმართებაში.

5.11. ყრილობაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. წესდების დამტკიცებას/ცვლილების შეტანის ან ფედერაციის რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის საკითხებზე, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმათა 2/3-ის (ორი მესამედი) უმრავლესობით.

5.12. ყრილობის ოქმზე მონაწილეთა ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებობით დადგენილი წესით (ნოტარიუსის ან საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის მიერ).

5.13. ყრილობის გადაწყვეტილება ნამდვილია მაშინ, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შეტანილი იყო ყრილობის მოწვევის დროისთვის განსაზღვრულ დღის წესრიგში, ან ყრილობა დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტავს დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანას.

5.14. ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში ყრილობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

5.15. ფედერაციის ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება:

5.15.1. ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება);

5.15.2. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა;

5.15.3. ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევა;

5.15.4. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის არჩევა;

5.15.5. ფედერაციის სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა;

5.15.6. ფედერაციაში იურიდიული პირის გაწევრიანება/წევრობის შეწყვეტა;

5.15.7. ფედერაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მიღება;

5.15.8. ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გამგეობის წევრებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

5.15.9. საწევროს დაწესება და მისი ოდენობის განსაზღვრა.

მუხლი 6
ფედერაციის გამგეობა

6.1. ყრილობებს შორის ფედერაციის საქმიანობას წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს და ხელმძღვანელობს ფედერაციის გამგეობა. გამგეობის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი დამსახურება მთამსვლელობაში ან/და მასთან დაკავშირებულ სახეობაში (ყინულზე ცოცვა, დრაითულინგი, სათხილამურო მთამსვლელობა) და გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ ჩვევები.

6.2. გამგეობა შედგება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 7 წევრისგან (მათ შორის ფედერაციის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი). ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს წევრთა ყრილობა გამგეობის წევრთა არჩევისას.

6.3. ფედერაციის გამგეობა აირჩევა 4 წლის ვადით. ამასთან, გამგეობის ყველა წევრის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

6.4. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

6.5. გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს ვიდეო ან/და ონლაინ საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. ასეთი საშუალება შეიძლება გამოყენებული იქნეს რომელიმე წევრის/წევრების მიმართ, როდესაც ის/ისინი უშუალოდ ვერ ესწრება/ესწრებიან

სხდომას და წერილობით გამოთქვმული აქვთ მონაწილეობის სურვილს სხდომის დაწყებამდე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე.

6.6. გამგეობის სხდომა მოიწვევა პრეზიდენტის ან გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, მოწვევამდე სამი დღით ადრე გამგეობის წევრების განსაზღვრულ მისამართებზე წერილობით ან/და ელექტრონულად (მათ შორის სატელეფონო შეტყობინებით) დღის წესრიგის გადაგზავნით.

6.7. გამგეობის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. გამგეობის სხდომას თავმჯდომარეობს პრეზიდენტი, მისი არყოფნის შემთხვევაში ვიცე–პრეზიდენტი, ხოლო სხვა შემთხვევაში გამგეობის მიერ არჩეული პირი.

6.8. გამგეობის ყოველი სხდომის შემდეგ დგება წერილობითი ოქმი, სადაც აღინიშნება გამგეობის სხდომაზე დამსწრე წევრების ვინაობა, ასევე, დღის წესრიგით განხილულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე და მდივანი, რომელიც აირჩევა ყოველი სხდომის წინ. დაუშვებელია გამგეობის წევრის მონაწილეობა სხდომაში წარმომადგენლის მეშვეობით.

6.9. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

6.9.1. ფედერაციის საქმიანობის პრინციპების, განვითარების მიმართულებისა და სტრატეგიის განსაზღვრა;

6.9.2. ფედერაციში ფიზიკური პირების გაწევრიანება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა, ფედერაციის წევრი ფიზიკური პირისთვის წევრობის შეწყვეტა;

6.9.3. ფედერაციის ბიუჯეტის დამტკიცება;

6.9.4. ფედერაციის შინაგანაწესის, დებულებებისა და სხვა შიდა რეგულაციების დამტკიცება;

6.9.5. ფედერაციის ქონებისა და სახსრების მართვა და განკარგვა;

6.9.6. ფედერაციის სტრუქტურის, თანამდებობის პირთა და მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულებისა და ხელფასის ფონდის დამტკიცება, ფედერაციის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრა, გარდა ამ წესდების 5.15.2-5.15.4 პუნქტებით განსაზღვრული თანამდებობის პირებისა;

6.9.7. მწვრთნელების და ინსტრუქტორების მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის-რეიტინგის განსაზღვრის წესის შემუშავება და სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მსაჯთა წოდებებისა და კატეგორიების განსაზღვრა და მათი წარდგინება;

6.9.8. დაფინანსების მიზნით წევრთა მიერ გამგეობაში წარდგენილი პროექტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მათი დაფინანსების (მათ შორის დაფინანსების მოცულობის) ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

6.9.9. დაფინანსებული პროექტის ავტორის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, როგორც სპორტული, ასევე, ფინანსური ანგარიშების განხილვის კრიტერიუმების დამტკიცება;

6.9.10. ნაკრები გუნდების ფორმირება და მათი ყოველწლიური საწვრთნელი პროგრამის შედგენა - დამტკიცება;

6.9.11. ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;

6.9.12. ყრილობის მოწვევა, თუკი პრეზიდენტი ვერ ან არ იწვევს კრებას;

6.9.13. ფედერაციის წესდებაში (სარეგისტრაციო განაცხადში) ცვლილებების პროექტის შემუშავება და ყრილობაზე წარდგენა დასამტკიცებლად;

6.9.14. ფედერაციის სიმბოლიკის შემუშავება და დამტკიცება;

6.9.15. ფედერაციის ღონისძიებების კალენდრისა და ბიუჯეტის დამტკიცება;

6.9.16. ფედერაციის წევრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის ორგანიზება;

6.9.17. სტიპენდიების და პრემიების დანიშვნა და მათი რაოდენობის განსაზღვრა;

6.9.18. ფედერაციის დარგობრივი კომისიების შექმნა;

6.9.19. ფედერაციის სხვა საქმიანობის წარმართვა მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესდების შესაბამისად.

6.9.20. ყრილობის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში ფედერაციის წევრთა საწევრო შენატანების ოდენობებისა და გადახდის წესის განსაზღვრა.

6.10. ფედერაციის გამგეობის წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, როდესაც ასეთი შეუძლებლობა არასაპატიო მიზეზით გრძელდება 2 თვეზე მეტი ვადით, ან მისი გადადგომის შემთხვევაში, ამ წესდებით დადგენილი წესით, მოიწვევა ფედერაციის ყრილობა, სადაც აირჩევა გამგეობის ახალი წევრი.

მუხლი 7
ფედერაციის პრეზიდენტი

7.1. ფედერაციის პრეზიდენტი არის ფედერაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. იგი მოქმედებს ფედერაციის სახელით და ერთპიროვნულად წარმოადგენს მას სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, აგრეთვე ნებისმიერ მესამე პირთა წინაშე.

7.2. ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა ყრილობის მიერ ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

7.3. ფედერაციის პრეზიდენტი:

7.3.1. უზრუნველყოფს საერთო ყრილობის დღის წესრიგის შემუშავებასა და ფედერაციის ხმის უფლების მქონე წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას, ასევე, უზრუნველყოფს წინამდებარე წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე საერთო ყრილობის მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას;

7.3.2. უზრუნველყოფს ფედერაციის მართვისა და კონტროლის ორგანოების მიერ მიღებული სხვა და სხვა აქტებისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაციას და არღიცხვას;

7.3.3. აღასრულებს ყრილობისა და გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

7.3.4. წარუდგენს გამგეობას წინადადებებს ფედერაციის მიერ შემდგომში განსახორციელებელი თუ დასაგეგმი საქმიანობების თაობაზე, ასევე ყოველწლიურად შეიმუშავებს და გამგეობას წარუდგენს ფედერაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშს, ხელს აწერს ფედერაციის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, გარიგებებს, რწმუნებულებებს და ნებისმიერ სხვა დოკუმენტს;

7.3.5. ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;

7.3.6. ხელს უწყობს ფედერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;

7.3.7. გამგეობის მიერ განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში თავისი შეხედულებით განსაზღვრავს და წარმართავს ფედერაციის მარკეტინგულ სტრატეგიას და საქმიანობას;

7.3.8. დაუყოვნებლივ აცნობებს გამგეობას იმ გარემოებათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ფედერაციის მდგომარეობაზე;

7.3.9. გამგეობის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის, ღონისძიებების კალენდრის, საშტატო განრიგის შესაბამისად შეხედულებისამებრ განკარგავს სახსრებს, დებს გარიგებებს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს;

7.3.10. თუკი ვერ ხერხდება ფედერაციის ბიუჯეტის ან/და კალენდრის დამტკიცება, რის გამოც საფრთხე ექმნება ფედერაციის საქმიანობას, ღონისძიებების დაფინანსებას ან სხვა მნიშვნელოვან აქტივობას, თავისი შეხედულების მიხედვით ადგენს დროებით ბიუჯეტს და კალენდარს, და დაუყოვნებლივ ათანხმებს გამგეობასთან;

7.3.11. ბიუჯეტით და კალენდრით დადგენილი ღონისძიებ(ებ)ის გაუქმების შემთხვევაში, აკორექტირებს ბიუჯეტსა და კალენდარს;

7.3.12. ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რაც პირდაპირ არ მიეკუთვნება გამგეობისა და ყრილობის კომპეტენციას.

7.4. ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შესაბამის გონივრულ ვადაში, მაგრამ აღნიშნული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ფედერაციის პრეზიდენტი/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ან გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს ყრილობა ფედერაციის ახალი პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გემგეობის წევრთა არჩევის მიზნით, ფედერაციის წესდებით ყრილობის მოწვევისა და ჩატარებისთვის გათვალისწინებულ ვადებში და იმ პირობის დაცვით, რომ ყრილობამდე მოქმედი პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის (შესაბამისად - ვიცე-პრეზიდენტისა და გამგეობიწე წევრების) უფლებამოსილების ამოწურვისთანავე, ახლად არჩეული პირები შეუდგებიან უფლებამოსილებების განხორციელებას. ახალი პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გამგეობის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე, ძველი ორგნოები ჩვეულებრივ ახორციელებენ თავის საქმიანობას.

7.5. ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის/გადაყენების, ან სხვა რაიმე მიზეზით უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფედერაციის საერთო კრების (ყრილობის) მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პერიოდში, წესდებაში პირდაპირი მითითების საფუძველზე, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას (შემდგომ მითითებული რიგითობით) ასრულებს: ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ან აღმასრულებელი დირექტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ფედერაციის გამგეობის უხუცესი წევრი. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს ამ პუნქტში მითითებული რიგითობით მომდევნო სხვა პირი, ამ მუხლის 7.4. პუნქტში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.

7.6. ამ მუხლის 7.5. პუნქტში მითითებული პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს 3 თვის ვადით. მოცემული ვადა, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვით. დაუშვებელია, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდეს ჯამურად 6 თვეზე მეტი ვადით.

7.7. ამ მუხლის 7.5. პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს ამ მუხლის 7.4. პუნქტით დადგენილი წესით და პუქნტი 7.6 პუნქტში მითითებული ვადების დაცვით.

7.8. თუ ამ მუხლის 7.4.-7.6. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხდება ყრილობის ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, მასთან ერთად უფლებამოსილება უწყდებათ ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს, გენერალურ მდივანსა და გამგეობას. მოცემულ შემთხვევაში, ფედერაციის მოქმედ იურიდიულ პირ წევრთა არანაკლებ 25% ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას (ყრილობას), რომელიც უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

მუხლი 8
ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი (გენერალური მდივანი) და ფინანსური დირექტორი (ხაზინადარი)

8.1. ვიცე-პრეზიდენტი ირჩევა ყრილობის მიერ ხმათა უმრავლესობით და, გარდა ამ წესდებით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა, მას არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

8.2. ვიცე-პრეზიდენტი ამავდროულად არის გამგეობის წევრიც. ის აირჩევა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით მაგრამ არაუმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

8.3. ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარეობს და წარმართავს გამგეობის მუშაობას. მესამე პირებთან ურთიერთობაში პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში ვიცე–პრეზიდენტს უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ კანონის შესაბამისად გაცემული რწმუნებულების საფუძველზე.

8.4. აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი არ არიან გამგეობის წევრები. ისინი აირჩევიან პრეზიდენტის წარდგინებით გამგეობის მიერ 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნას ასეთ თანამდებობაზე არაუმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

8.5. აღმასრულებელი დირექტორი წარმართავს ფედერაციის ყოველდღიურ მიმდინარე საქმიანობას და უზრუნველყოფს ფედერაციის ყრილობის, გამგეობის ან/და პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას, მათ შორის სამინისტროსთან და მესამე პირებთან კომუნიკაციას.

8.6. ფინანსური დირექტორი ხელმძღვანელობს ფედერაციის ფინანსურ საქმიანობას, მათ შორის სწორ და კანონშესაბამის ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურთან, სამინისტროსთან და სხვა კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

მუხლი 9
ფედერაციის დარგობრივი კომისიები

9.1. ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, მთამსვლელობის განვითარებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად შეიძლება შეიქმნას დარგობრივი კომისიები,

რომლებშიც შევლენ ფედერაციის წევრები და ფედერაციის გამგეობის მიერ მოწვეული ფედერაციის არა წევრი პირები.

9.2. დარგობრივი კომისიების მსჯელობებს და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ სავალდებულო ძალა ფედერაციის წევრების მიმართ, თუ ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ასეთ მსჯელობას ან/და გადაწყვეტილებას არ მიენიჭათ სავალდებულო ძალა.

9.3. ფედერაციაში მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიები და დროებითი კომისიები იქმნება კონკრეტული პრობლემატური საკითხების ირგვლივ.

9.4. მუდმივმოქმედი კომისიები და დროებითი კომისიები იქმნება გამგეობის გადაწყვეტილებით.

9.5. მუდმივმოქმედი კომისიებისა და დროებითი კომისიების საქმიანობის პროგრამას ამტკიცებს გამგეობა.

9.6. მუდმივმოქმედი კომისიები და დროებითი კომისიები წარმოადგენენ გამგეობის დამხმარე ორგანოებს, მათი საქმიანობა ემსახურება გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას და უფლებამოსილების დელეგირებისას ივარაუდება, რომ თითოეულ შემთხვევაში გამგეობის წინასწარი წერილობითი გადაწყვეტილება სავალდებულოა ამ წესდებით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 10
სარევიზიო კომისია

10.1. სარევიზიო კომისია ახორციელებს ფედერაციის საფინანსო საქმიანობის კონტროლს. სარევიზიო კომისია შედგება 3 წევრისგან. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ამავროულად გამგეობის წევრიც.

10.2. სარევიზიო კომისიის წევრებს ირჩევს ფედერაციის ყრილობა იმავე ვადით, როგორც გამგეობას. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობაზე ფედერაციის წევრთა წინაშე.

10.3. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს კომისიის უფლებამოსილების ვადით.

10.4. სარევიზიო კომისიის რეკომენდაციები საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის წევრების, მართვის ორგანოებისა და ხელმძღვანელი პირებისათვის.

მუხლი 11
ფედერაციის ხანგრძლივობა

11.1. ფედერაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 12
ფედერაციის საკუთრება, შემოსავლის წყარო

12.1. ფედერაციას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი, ასევე, არამატერიალური ქონება.

12.2. ფედერაციის ქონება და სახსრები იქმნება

12ᲒᲥᲘ საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით გამოყოფილი თანხებით;

12.2.2. სამინისტროს მიზნობრივი დაფინანსებით;

12.2.3. შემოწირულობით;

12.2.4. საწევრო შენატანით;

12ᲒᲕᲘ კანონით ნებადართული სხვა საქმიანობით.

12ᲒᲘ ფედერაციის მოგება უნდა მოხმარდეს ფედერაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას და არ დაიშვება მისი წევრთა შორის განაწილება;

მუხლი 13
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. ფედერაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

13.3. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში.

13.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ ხმის უფლების მქონე წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

13.5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ფედერაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

13.6. თუ ფედერაციის წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, ფედერაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

13.7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 14
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე წესდება წარმოადგენს ფედერაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას.
14.2. წინამდებარე წესდება ძალაში შედის საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
14.3. იმის გათვალისწინებით, რომ 2027 წლის 01 ივლისიდან ფედერაციის არსებული ფიზიკური პირი წევრები კარგავენ ხმის უფლებას (3.3 პუნქტი), ყრილობის გადაწყვეტილებაუნარიანობასთან დაკავშირებით წესდების ამოქმედებიდან 2027 წლის 01 ივლისამდე პერიოდში მოქმედებს 5.4 პუნქტით დადგენილი წესი, ხოლო ამ ვადის გასვლისთანავე 5.4 პუნქტი კარგავს ძალას და ძალაში შედის 5.5 პუნქტით დადგენილი წესი, რომელიც იმოქმედებს წესდების მოქმედების ვადით.
14.4. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
14.5. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ყრილობის დელეგატები:

1. ა(ა)იპ „ქართული ალპური კლუბი“ (ს/ნ 404446097)
აღმასრულებელი დირექტორი - საბა სამადაშვილი (პ/ნ 01024037457)

_____

2. ა(ა)იპ „საქართველოს მთასვლელთა ეროვნული ფედერაცია“ (ს/ნ 204426781)
პრეზიდენტი - გივი ქართველიშვილი (პ/ნ 01017001665)

_____

3. ა(ა)იპ „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია“ (ს/ნ 204419218)
პრეზიდენტი - ნიკოლოზ ერქომაიშვილი (პ/ნ 01024012500)

_____

4. ა(ა)იპ „საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია“ (ს/ნ 205132603)
პრეზიდენტი - ერეკლე მიქელაძე (პ/ნ 01017043598)

_____

5. ა(ა)იპ „საქართველოს ყინულზე ცოცვის ფედერაცია“ (ს/ნ 205280505)
პრეზიდენტი, ირაკლი ჟღენტი (პ/ნ 01017004881)

_____

6. ა(ა)იპ „მოხალისე სამთო მაშველთა ასოციაცია“ (ს/ნ 404432547)
პრეზიდენტი - მამუკა ნიკოლაძე (პ/ნ 01009005863)

_____

7. ა(ა)იპ „ჭუთაისის მთამსლელთა, მეკლდეურთა და სპელეოლოგთა კლუბი კავკასია“ (ს/ნ 412697737)

წარმოდმადგენელი, თემური ქურდიანი (პ/ნ: 60001147705)

_____

8. ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია“ (ს/კ: 203845606)

წარმომადგენელი ოთარ თათარაშვილი (პ/ნ 01013028825)

_____

9. ბაქარ გელაშვილი (პ/ნ 11001010991)

_____

10. გიორგი ტეფნაძე (პ/ნ 01008040783)

_____